საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 637 2018 წლის 18 დეკემბერი ქ. თბილისი

„სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში სამხედრო ვალდებულების მოხდის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 19 თებერვლის №88 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში სამხედრო ვალდებულების მოხდის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 19 თებერვლის №88 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/02/2018, 140080000.10.003.020403) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სამხედრო სავალდებულო სამსახურისა და საკონტრაქტო სამსახურის დასრულების შემდეგ, მოსამსახურეები რიგითის სამხედრო წოდებით ირიცხებიან საქართველოს თავდაცვის ძალების რეზერვში. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საკონტრაქტო-პროფესიულ ან კადრის სამსახურში დადგენილი წესით სამსახურის გაგრძელების შემთხვევაში,

აღნიშნული პირები დგებიან სპეციალურ აღრიცხვაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

2. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მიღებული შეტყობინების საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისი სამსახურები, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ადგენენ სამხედრო-სააღრიცხვო დოკუმენტაციას შესაბამისი სამსახურის ვადის გასვლის გამო გათავისუფლებულ მოსამსახურეთა საქართველოს თავდაცვის ძალების რეზერვში ჩარიცხვის მიზნით და გასცემენ სამხედრო ბილეთს.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**